აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 2 | 1 მარტი 2022 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეზოლუცია უკრაინის მხარდაჭერის შესახებ (09-01-08/23 24.02.2022 წელი)

დასახელება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს წევრები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
ავტორი	ინიციატორი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

წამყვანი *კომიტეტი*

24.02.2022 წელი	წამყვანი კომიტეტი: 23.03.2022წ. სხვა კომიტეტები: 17.03.2022წ.	საგაზაფხულო სესია
უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენის თარიღი	კომიტეტის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი	სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტი;
აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი;
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტი;
საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი;
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი.

კომიტეტები, რომელთა დასკვნები სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — დავით გაბაიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით გაბაიძეს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

უკრაინაში მიმდინარე მოვლენები არ შეიძლება დარჩეს როგორც ცენტრალური ასევე რეგიონული ხელისუფლების ყურადღების მიღმა. დღეს მნიშვნელოვანია უკრაინის და უკრაინელი ხალხის ღია მხარდაჭერა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის თანახმად რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს უმაღლესი საბჭოს წევრთა ერთ მესამედს (7 დეპუტატი). ვინაიდან ფრაქცია „ერთიან ნაციონალური მოძრაობა"-ის დეპუტატთა რაოდენობა არ არის საკმარისი რიგგარეშე სხდომის მოწვევის ინიცირებისათვის (6 დეპუტატი) საკითხის მნიშვნელობიდან და აქტუალობიდან გამომდინარე გთხოვთ, როგორც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ მოიწვიოთ რიგგარეშე სხდომა, სადაც დაჩქარებულად განხილული იქნება რეზოლუციის მიღების საკითხი.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" აჭარიის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი ნაწილით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 64-ე მუხლით, 84-ე მუხლის მეორე ნაწილით, 90-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილებით, მე-100 მუხლით წარმოგიდგენთ რეზოლუციის პროექტს. გთხოვთ განხილული და მიღებული იქნას რეგლამენტით დადგენილი წესით.

კანონპროექტის მომხსენებელი სხდომებზე ფარქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ის გადაწყვეტილებით იქნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი ელგუჯა ბაგრატიონი. თანამომხსენებელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი გია აბულაძე.

დანართი 3 ფურცელი.

პატივისცემით,
ელგუჯა ბაგრატიონი
ფრაქციის თავმჯდომარე

09-01-08/23
24 - 02 - 2022

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
რეზოლუცია
უკრაინის მხარდაჭერის შესახებ

რუსეთის საოკუპაციო რეჟიმმა განახორციელა აგრესია და მასშტაბური შეჭრა უკრაინაში. დღეს მნიშვნელოვანია საერთაშორისო საზოგადოების აქტიურობა საყოველთაოდ აღიარებული ნორმების, მათ შორის საზღვრების ურღვევობის, ტერიტორიული მთლიანობის და სახელმწიფო სუვერენიტეტის დასაცავად.

აჭარის უმაღლესი საბჭო:

გამოხატავს ღრმა შეშფოთებას რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის უკრაინაში მასშტაბრი შეჭრის გამო, რაც საფრთხეს უქმნის არამარტო უკრაინას, არამედ რეგიონულ მშვიდობას და უსაფრთხოებას.

სოლიდარობას უცხადებს მეგობარ უკრაინელ ხალხს, მხარს უჭერს უკრაინის სუვერენიტეტს და თავისუფლებას.

მოვუწოდებთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელით ღია მხარდაჭერა გამოუცხადოს უკრაინას და უკრაინელ ხალხს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე
დავით გაბაიძე

განმარტებითი ბარათი
უკრაინის მხარდაჭერის შესახებ რეზოლუციის მიღების თაობაზე

ა. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა.) კანონპროექტის მიღების მიზეზები

რუსეთის საოკუპაციო რეჟიმმა განახორციელა აგრესია და მასშტაბური შეჭრა უკრაინაში. დღეს მნიშვნელოვანია საერთაშორისო საზოგადოების აქტიურობა საყოველთაოდ აღიარებული ნორმების, მათ შორის საზღვრების ურღვევობის, ტერიტორიული მთლიანობის და სახელმწიფო სუვერენიტეტის დასაცავად.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

უკრაინის და უკრაინელი ხალხის მხარდაჭერა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

რუსეთის საოკუპაციო რეჟიმმა განახორციელა აგრესია და მასშტაბური შეჭრა უკრაინაში. მნიშვნელოვანია საქართველოს მხარდაჭერა უკრაინის სუვერენიტეტისა და თავისუფლების დასაცავად.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

- კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

- კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

- კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

- კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

-

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

- კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

- კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან

- კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

- რეზოლუცია მომზადებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის(დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

- კანონპროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

28/02/2022
N 228

228-09-02-11-3-202202281336

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

,,უკრაინის მხარდაჭერის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს რეზოლუციის პროექტის თაობაზე

(N09-01-08/23, 24.02.2022 წ. ინიციატორი: უმაღლესი საბჭოს ფრაქცია
,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და 86-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა ,,უკრაინის მხარდაჭერის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეზოლუციის პროექტი.

განხილვის შედეგად, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 115-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საბჭოს რეზოლუცია, განცხადება და მიმართვა განიხილება და მიიღება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის - დადგენილების განხილვისა და მიღებისათვის რეგლამენტით დადგენილი წესით. ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტს უნდა დაერთოს ამავე პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული განმარტებითი ბარათი. წარმოდგენილ განმარტებით ბარათში საუბარია კანონის პროექტზე და თითქმის საერთოდ არ არის ნახსენები რეზოლუცია, თუმცა ფაქტიურად წარმოდგენილია რეზოლუციის პროექტი და არა კანონის პროექტი. წარმოდგენილი განმარტებითი ბარათით იქმნება შთაბეჭდილება, რომ იგი მომზადებულია ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის 1-3 პუნქტების თანახმად, და განკუთვნილია არა რეზოლუციის პროექტისათვის, არამედ კანონის პროექტისათვის, თუმცა სრულყოფილად ვერც ხსენებული პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ვერ პასუხობს, რის გამოც მივიჩნევთ, რომ წარმოდგენილ რეზოლუციის პროექტზე თანდართული განმარტებითი ბარათი ვერ პასუხობს ხსენებული მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნებს.

ამდენად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტი არ შეესაბამება ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლით (პუნქტი 5) გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პატივისცემით,

ვაჟა ცეცხლაძე

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი